# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **HR სოფტის** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | მომხმარებელი |
|---|---|
| HR სოფტი | 10 |

მოთხოვნები

1. **ორგანიზაციის სტრუქტურა** - სოფტში კომპანიის სტრუქტურის აწყობა/პოზიციების მიხედვით. პოზიციის დამატება და წაშლის ოფცია.
2. **თანამშრომლის პროფილის შექმნა** - თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია - პოზიცია/დანიშვნის თარიღი/პირადი ნომერი/ტაბელის ნომერის მინიჭება/ხელშეკრულების დადების თარიღი და ხანგრძლივობა/ხელფასი/შვებულების პერიოდის განსაზღვრა.
   თანამშრომლის პროფილიდან სავალდებულო დოკუმენტების არსებობის კონტროლი. მაგალითად, თუ ვის აქვს მოტანილი საჭირო დოკუმენტები და ვის – არა.
3. **სამუშაო დროის აღრიცხვა** - ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციის ფორმის შესაბამისად სამუშაო საათების აღრციხვა განხვავებული გრაფიკების მქონე თანამშრომელბისთვის. არასტანდარტული/24 საათიანი გრაფიკის მქონე თანამშრომლებისთვის. თვის ჭრილში ნორმირებული სამუშაო დროის განსაზღვრა/ არსებული ინოფრმაციის ექსპორტი ზეგანაკვეთური და უქმე დღეების გათვალისწინებით თანხით ანაზღაურების მიზნით ან თვის ჭრილში თანაბარზომიერი დასვენების საათების მიცემის შესახებ ინფორმაციის დაგენერირება.
4. **შვებულებების მართვა** - სამსახურში მოსვლიდან რა პერიოდში წარმოეშობა თანამშრომელს კონკრეტული ტიპის შვებულების გამოყენების უფლება.
   რამდენი გამოიყენა და რა დარჩა გამოუყენებელი/კომპანიაში არსებული რამდენიმე სხვადასხვა ტიპის შვებულება, რომელიც საჭიროა, რომ ერთსა და იმავე საშვებულებო დროის ნაშთს გამოაკლდეს. ცალკე აღირიცხებოდეს უქმე დღე (Day-off) და ასევე საპატიო დაგვიანებაც და ადრე წასვლის დაკორექტირება.
   უხელფასო შვებულების დათვლა
   საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა.
   შვებულებიდან გამოძახება - შესწორების შეტანის საშუალება - თუ საჭირო გახდა თანამშრომლის ერთი დღით გამოძახება შვებულებიდან.

5. **თანამშრომლის მიერ პროფილის კონტროლი** - თანამშრომელმა შეძლოს მის პროფილში შესვლა ინფორმაციის გადამოწმების მიზნით - პირადი ინფორმაციის /სამუშაო საათების/ზეგანაკვეთურის/ გამოყენებული და გამოუყენებელი შვებულების შესახებ ინფორმაციის ნახვა
6. **მენეჯერის პროფილი** - შეძლოს თანამშრომელბის განრიგის შექმნა/ ცვლილება/შვებულებების და უქმე დღეების ვიზირება/არსებული ინფორმაციის ექსპორტი
7. **რეპორტი** - თანამშრომლების რაოდენობა/წასული და მომქმედი თანამშრომელბსი დიფერენცირება (შესაბამისი სტატუსის მითითებით)/ნამუშევარი განრიგის ნახვა/მათ შორის რამდენია ნორმირებული და რამდენი ზეგანაკვეთური/გაცდენის ისტორია/შვებულების ისტორია/ფილტრის შესაძლებლობა ექსელში ექსპორტის დროს/აინფორმაციის დამუშავება ანგარიშგებისთვის. აღრიცხვის ფორმის გაცნობის და დადასტურების საშუალება.

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 17/05/2021 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**